„მე შენ მიყვარდი, შენ მნამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გზით



ერონულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 7 (273) 19 ივლისი, ხუთშაბათი. 2018 წელი; ფასი 1 ლ.

## მოლოდინი



ისევ ფასადური მთავრობა თუ სახელმწიფო მშენებლობის დასაწყისი?

როგორ გადაწყვიტოს ხალხმა ორი პრობლემა: კარგი მთავრობის არჩევა და „ნაციონალების" პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოცილება

მე-2-გვ



## ნატოში გარკვეულ დროს მიგვიღებენ-ასეთია ბრიუსელის სამიტის გზავნილი

მე-2-გვ

## ქალაქის მერმა, ბატონმა გოჩა კურდღელიამ 6 თვის ანგარიში მოისმინა




მე-4-გვ

## რატომ „მაერსკი"? - ვისი ინტერესებია? ანაკლია -ფოთი, მითი და რეალობა ფოთელები 30 წელია ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობის ნებართვას ითხოვენ



ანუ დაიკარგა 30 წელი, რატომ, რისთვის?...

მე-3-გვ



## ადამიანები დროში
## ისინი ცოცხლობენ მარად

მე-7-გვ




## პოეზიის საღამო ფოთში
## ქალი, სილამაზე და პოეზია გადაარჩენს სამყაროს!

მე-5-გვ

## სიკეთის გაკვეთილები
ვერიკო გოგიაშვილის ნათელ ხსოვნას



მე-7-გვ

## ფოთში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი გაიხსნა



მე-4-გვ



## გერმანელი მეგობრის, დიდი ჰუმანისტისა და მოქალაქის პიტერ ლაისტერის ხსოვნას

„მიდიხარ ტკბილი გქონდეს მგზავრობა"

მე-8-გვ

საქართველოს გზა – სიმღერის გზაა

## „ქართული ხმები"-სრული სვლით!



ქართული სიმღერა სიცოცხლის ჰიმნია, ქართული სულის უკვდავებაა, მასში განივთებულია ერის ისტორია, მისი ნიჭი და გენია განფენილი-სიცოცხლის სიყვარული, ბრძოლა თავისუფლებისათვის და უფლის სადიდებელი.

ერის ეს დიდი საუნჯე მომავალ თაობებს უნდა გადაეცეს. ამ საშვილიშვილოი საქმეს ემსახურებიან სახელმწიფო თუ რეგიონული გუნდების ანსამბლები. მათ შორისაა ლეგენდარული ანსამბლი „ქართული ხმები", რომლის რეპერტუარი სავსეა ქართული ხალხური მარგალიტებით - ესაა ჰიმნი სიცოცხლისადმი, სამშობლოსადმი მიძღვნილი. საქართველოს კულტურის სამინისტროს ინიციატივით ბევრი რამ კეთდება ქართული სიმღერების პოპულარიზაციისათვის, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა რადიო ტელევიზიები დაბალი დონის უცხოური სიმღერებითაა გაჯერებული.. სამინისტროს მხარდაჭერით „ქართული ხმები" კონცერტებს მართავს ქვეყნის მასშტაბით. ყველგან დიდი სიყვარულით მოელიან ამ მართლაც ზღაპრული სანახაობის ავტორებს. სწორედ, ასეთი დაუვიწყარი კონცერტი გაიმართა ფოთის სამუსიკო სასწავლებელში. „ქართულმა ხმებმა" რობერტ გოგოლაშვილის ხელმძღვანელობით კვლავაც გაგვაოცა პოლიფონიით, საოცარი ხმებით, კახურ-სვანური-მეგრული სიმღერებით.

თბილისის მერიის ბიგ ბენდი (ხელმძღვანელი გივი გაჩეჩილაძე) შესანიშნავი ორკესტრი, ძველი და ახლი ვარსკვლავები, უცხოური და ქართული სიმღერების პოპური-ქართული გენი, აღმაფრენა და აღფრთოვანებული მსენელი.

თბილისელ სტუმრებს მასპინძლობდა ფოთის მერია, ისინი ისვენებდნენ გრიგოლეთის ულამაზეს სასტუმრო კომპლექსში „ლაშთანი", რომლის მეპატრონე გახლავთ, ფოთელთა დიდი მეგობარი და მხარდამჭერი ბატონი შოთა მიქიაშვილი, მისი ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ რა სილამაზის შექმნა შეუძლია კაცს თუ მოინდომებს.

ფოთის მერიამ სტუმრებს ბათუმში გამგზავრების წინ დიდებული ბანკეტი გაუმართა. იყო მოფერება, ღვაწლის დაფასება და მომავალი შეხვედრის სურვილი.

მეხსიერებას დიდხანს შემორჩება დაუვიწყარი პეიზაჟი - გადასახედი რესტორნის აივნიდან-ცისფერი ზღვა, გემები, ჩამავალი მზე და მომავლის იმედი.



## სამეგრელოს მუნიციპალიტეტები ქუბერში დაზარალებულებს ეხმარებიან

მე-4-გვ

მოლოდინი

# ისევ ფასადური მთავრობა თუ სახელმწიფო მშენებლობის დასაწყისი?

## როგორ გადაწყვიტოს ხალხმა ორი პრობლემა: კარგი მთავრობის არჩევა და ნაციონალების პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოცილება



ვიდრე ქვენის და სამშობლოს ცნება არ დაიკავბს ღირსეულ ადგილსა ქართველი კაცის ცხოვრებაში, ვიდრე ქვეყანას ერთი მიზანი არ გააერთიანებს, ვერ შედგება სახელმწიფო თავისი მყარი ინსტიტუტებით, რომელიც ერთხელ რელსზე შემდგარ მატარებელს გავს წინ რომ მიიწევს დასახული მიზნისაკენ. მაგრამ ჩვენ ვერ გაგვირკვევია საით უნდა წავიდეთ, რა გზას უნდა დავადგეთ. როგორ შევქმნათ ისეთი მძლავრი ეკონომიკა, რომელიც ადამიანებს გააძლიერებს და სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს.

როცა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებაზე ვსაუბრობთ გვავიწყდება, რომ, სამწუხაროდ, დარჩენილ ტერიტორიებს ტოვებს მოსახლეობა და ეს მოვლენა ბევრად არ ჩამოუვარდება გენოციდს-კაცი სამშობლოს ტოვებს გაჭირვების გამო, აქ არ დაედგომება, შიმშილისა და სიკვდილისთვისაა განწირული, რა მნიშვნელობა აქვს რით მოგიღებენ ბოლოს. ამ ფონზე სახელმწიფო სახელისუფლებო სტრუქტურები დემოკრატიისა და თავისუფლების ნიღბით პირად კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ, დაინაწილეს ქვეყნის ხალხის ქონება, სტრატეგიული ობიექტები და ყველგან წილები მოითხოვეს. ჩალის ფასად იყიდეს და გაყიდეს საუკუნეებით დაგროვილი საერთო ქონება, რომელიც ეკუთვნოდა იმ ხალხს, ძალაუფლება დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას რომ გადააბარა და იქიდან მოყოლებული 30 წელია ნანობს თავისი მცდარი არჩევანის გამო, ერთადერთი სწორი არჩევანი ზვიად გამსახურდიას ეროვნული მთავრობის არჩევისას გააკეთეს და ისიც დაამხეს. შევარდნაძე, სააკაშვილი, ივანიშვილი, ღარიბაშვილი, კვირიკაშვილი, ბახტაძე და ა.შ. იცვლებიან მეთაურები, თუმცა არ ჩანს შუქი გვირაბის ბოლოს. არაა წინსვლა, მიუხედავად იმისა ეკონომიკა ყვავის და 7%-იანი ზრდა გვაქვს. ამ დროს ადამიანთა უმეტესობა შიმსილის ზღვარზეა და მას საერთაშორისო კვლევები ადასტურებენ. საქართველოში როგორ უნდა შიოდეს ხალხს. ჩაის და თხილის საკრეფად თურქეთში როგორ უნდა მიდიოდეს, ფაროსანა შეესია ჩვენს ქვეყანას...

საქართველო პოლიტიკური დაპირისპირების პოლიგონად იქცა, ამ დროს არც პარტიებია გამოკვეთილი, არც საშინაო და საგარეო პოლიტიკა, პარტიებს თანამდებობის დატოვებისთანავე ტოვებენ მათი ლიდერები. ეს ხომ შეურაცხყოფაა, ზოგადად დემოკრატიის და კონკრეტულად ამომრჩევლების. გამოდის პარტია ფიქცია ყოფილა - საშუალება ხეხლისუფლებაში მოსასვლელად, ქვეყნის საყვლეფად და ჩვენც ამისტვის მიგვიცია ხმა და არა პარტიისა და პროგრამებისათვის. უფრო სავალალო ისაა ხვალ-ზეგ შეიძლება ეს ლიდერები სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ, სად სახელმწიფო საქმე და სად კრიმინალი? - აი, ამ ქვეყნის უბედურება. ქვეყნის სათავეში უნდა იყვნენ სახელმწიფო მოღვაწეები და არა ბანკირ-მევახშეები, ჭკუის სასწავლებლად უამრავი გაკვეთილები გვაქვს. 30 წელი სულ შეცდომებზე ვიარეთ, ორად გაყოფილი ქვეყანა, პოლიტიკა, ეკლესია, ხალხი და მთავრობა. სააკაშვილის რეჟიმმა დიდი დაღი დაასვა ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებას, როცა ყველა მთავრობა და ხელისუფალი კრახით ამთავრებს მოღვაწეობას, ხალხს მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება საკუთარი პოლიტიკური ხედვისა და გადაწყვეტილებისათვის. როგორიც ამომრჩეველი ვიყავით ისეთი ხელისუფლება მივიღეთ. სულ რევოლუციურ ტალღაზე ვირჩევდით პარტიებს, ადამიანებს, როცა არაა ძლიერი პარტია, არაა ძლიერი ხელისუფალი, შედეგად არც სამართალდამცავი ორგანოებია დამოუკიდებელი, არადა, ისინი განსაზღვრავენ პროგრესს. როცა იცავენ ხელისუფლებას, რომელიც კანონს მიღმაა, ეს საშიშია სახელმწიფოს უსაფრთხოების თვალსაზრისით, ამის მაგალითია ბოლოდროინდელი მოვლენები, რამაც დააჩქარა მთავრობის ცვლილება.

დემოკრატიული პარადოქსები მართლაც გვაოცებს, თუ ასე გაგრძელდა სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად „ნაცები" მალე თავად „ოცნებას" დასვამენ საბრალდებო სკამზე, პროკურორებს უწყობენ დაკითხვებს, რომელთაც თავის დროზე ეს ბანდიტები უნდა დაეჭირა ათასი უბედურებისათვის-კორუფციისა და ქვეყნის ქონების განიავებისათვის, ხალხის გაღატაკების, ჩაგვრისა და აბუჩად აგდებისათვის. მათთან შედარებით „ოცნება" მამააბრამის ბატკანია, მაგრამ ეს არაა გამოსავალი, ეს არ იყო ხალხის მოლოდინი, რომელსაც ახლად არჩეული ხელისუფლებისგან ითხოვდა. ხალხი ელოდა სამსახურს, ოჯახის შენარჩუნებას, ადამიანურ ცხოვრებას და არა მონურ შრომას საზღვარგარეთ.

საქართველომ როგორც იქნა დამოუკიდებლობა მოიპოვა, მისი თავი მასვე ეკუთვნის, მაგრამ ეს იმავდროულად დიდი პასუხისმგებლობაა, დიდი ტვირთია. ახალი სახელმწიფოს შექმნა ურთულესი საქმეა. ახალი მთავრობა ახლი ხედვით და ახალი ძალით უნდა შეუდგეს მუშაობას. და იმაზე არ იფიქროს საბიუჯეტო თანხებით როგორ აიწყოს პირადი ცხოვრება. უპირველესად უნდა გამოვიყენოთ ქვეყნის გეოსტრატეგიული ფუნქცია, ბუნებრივი რესურსები, რომელიც თითქმის მოვსპეთ (სვანეთის ამბები, გარემოს დაცვის სამინისტროს უყურადღებობისა და დანაშაულის შედეგი). ახალმა მთავრობამ უნდა შეძლოს ხალხის რწმენის შემობრუნება, ჩატეხილი ხიდის აღდგენა, მათ არააქვთ ძველი შეცდომების გამეორების უფლება. ამას ქვეყანა გადაყვება. კარგია მესიჯები, თავისუფლება, სწრაფი განვითარება და ა.შ, მაგრამ ეს ხომ წლებია გვესმის. სად არის შედეგი? 21-ე საუკუნეში კაცს არ უნდა შიოდეს, სახელმწიფო ადამიანის უფლებებს უნდა იცავდეს, მის ღირსებებს, უნდა უზრუნველკყოფდეს სამუშაო ადგილით, დასვენებით და ა.შ.

რად გვინდა ჯანდაცვის სამინისტო თუ ოპერაციისათვის სახლი უნდა გაყიდო, თუმცა, გარკვეული თანადაფინანსება არსებობს. რად გვინდა გარემოს დაცვის სამინისტრო თუ ბუნება გაჩანაგდა, პროკურატურა, უშიშროება, შინაგან საქმეთა სამინისტრო თუ პოლიტიკურად განსხვავებულ ადამიანებს არ დაიცავს, როგორც სააკაშვილის დროს, მოკლედ, რად გვინდა მთავრობა, რომელიც ხალხს კი არ მოემსახურება, პირიქით ხალხს მოიმსახურებს, გააღარიბებს და გაამათხოვრებს, სანამდის ეს პარადოქსი-მდიდარი მთავრობა და ღარიბი ხალხი? ეს ხალხი ერთ დღეს დაიქუხებს და ყველაფერს წალეკავს.

„ნაციონალები" და „რუსთავი2" ჭკუას ასწავლიან ქვეყანას. ორივე ქართველი ხალხის მტერია, მაგრამ თქვენი უნიათობით ნუ მისცემთ საბაბს იყვიროს - რომ ხალხი მშიერია, საზღვარგარეთ გარბის, ვითომ არ სძინავთ ამათზე ფიქრით, ვითომ სააკაშვილის რეჟიმის დროს მსგავსი რამ არ ყოფილა. ნუ ამყოფებთ ქვეყანას ასეთ დამცინავ რეალობაში, როცა მგელი ვითომ კრავია და ანგელოზი და ფრთები აკლია მხოლოდ. თქვენ ამათ უნდა მოუსპოთ სალაპარაკო-აღადგინოთ სამართლიანობა.დამნაშავეები ციხეში უნდა იყვნენ და არა პარლამენტში, ორჯერ დანაშაულია, როცა სახელმწიფო დამნაშავეები გარეთ არიან, ხელისუფლებაში არიან და კიდევ დიდ თანამდებობებზე ფიქრობენ. აი, რა დღეშია ხლხი, რა ქნას, როგორ გადაწყვიტოს ეს ორი პრობლემა, აირჩიოს კარგი მთავრობა და „ნაცები" გაუშვას პოლიტიკური ასპარეზიდან. არც პოზიცია იკლავს თავს ქვეყნისა და ხალხისათვის, მაგათაც სკამი ელანდებათ და ამ უაზრო ჭიდილში ქვეყანა იღუპება, ქვეყანა უპირველესად ადამინებია, რომლებიც ტოვებენ მიწა-წყალს, შესაძლოა სულ მალე უმცირესობაში აღმოვჩნდეთ და სახელიც გადაარქვან ქვეყანას. ქართული გენი, რომელიც ასეა მიმოფანტული, მაინც თავის სიტყვას იტყვის მეცნიერებაში, მწერლობაში, (რომლებიც ასე მოსპეს) მხატვრობაში, მუსიკაში, თეატრსა თუ კინოში. ოღონდ ხელი შეუწყვეთ და გზაზე დააყენეთ ახლგაზრდები და ნარკოლიბერალიზაციას და ერთსქესიანობას ნუ ჩრით, იზრუნეთ ერის გამრავლებისათვის. ვიგინდარებს ნუ აძლევთ ათასობით პრემიებს, მრავალშვილიან და ახალგაზრდა ოჯახებს დაეხმარეთ.ვ ისაც ტელევიზორი აქვს იმას ნუ თვლით უზრუნველყოფილად და ნუ ართმევთ შემწეობას, ეს სისულეები უნდა ამოიღონ თავიდან ე.წ. სოცმუშაკებმა.

პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო ცივილიზებული გახადეთ, ხალხზე ორიენტირებული და არა ხელისუფლებაზე. ყველაზე დიდი ინტელიგენტი ესენი უნდა იყვნენ, დიდი სახელმწიფო კაცები, რომელთაც დიდი აღმზრდელობითი ფუნქცია აკისრიათ, პარლამენტშიც პოლიტიკოსები უნდა იყვნენ, წულუკიანს არ გავანთავისუფლებთ „ნაცების" ჯინაზეო, ამ აზროვნების კაცს რა უნდა პარლამენტში, განა ამ სამინისტროს კისერზე არაა სარალიძის საქმე, საუკუნის სირცხვილი და დანაშაული, სხვას რომ თავი დავანებით ასობით შვილმკვდარი დედა მკვლელს ეძებს. ხალხი ყველაფერ ამას ხედავს და აანალიზებს.

ხელისუფლება ხალხი, პარტიები ეკლესია, სამთავრობო თუ არასამთავრობოები იმაზე უნდა ფიქრობდნენ, როგორ გაძლიერდეს ქვეყანა ეკონომიურად, სულიერად და ზნეობრივად, რამეთუ „სამშობლო, როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა.

ზ. აბრალავა

# ნატოში გარკვეულ დროს მიგვიღებენ-ასეთია ბრიუსელის სამიტის გზავნილი

რუსეთისგან თავის დასაღწევად მხოლოდ ნატოში შესვლა არ კმარა, ქვეყნის გაძლიერებაა საჭირო ყველა პარამეტრით. და ვიდრე ნატოში მიგვიღებდნენ, ნატოც გამოვიყენოთ, ევროპაც და ქვეყანასაც მივხედოთ. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ვისთან იმეგობრებს ეს არავის საკითხავი არ უნდა იყოს მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი რამ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. დასამალი არაა ჯერ ქვეყანა არ არის დალაგებული, მტრობა და შუღლი ანგრევს სახელმწიფოს და ერთ-ერთი ფაქტორი თავშეკავებისა ეს ნიუანსიც გახლავთ, ამიტომ როცა საქმე არ გამოგვდის მოლოდინი ტყილში არ უნდა გადავზარდოთ. როცა ერთსა და იმავეს გეუბნებიან, მიგიღებთ, ოღონდ არ ვიცით, როდის, უნდა მიხვდე, რომ ამაზე ფიქრი ნაადრევია და პატარა ქვეყნის გამო რუსეთს არავინ მოიმდურებს, რომელსაც ანგარიშს უწევს მსოფლიო, შენც იგივე უნდა გააკეთო, იქნებ რამეში დაიყოლიო, ან სულაც ნატო რომ გაუქმდეს, საქართველომ არსებობა უნდა შეწყვიტოს? თუ ახალი გზები უნდა ეძებოს? ალბათ, ერთ დროს რუსეთშიც მოვლენ დემოკრატიული ძალები, სანამ ატარებს ეს ქვეყანა დამპყრობლის და დამნაშავის სახელს. მან ორი ერი ერთმანეთს გადაკიდა. ან ვინ ეომება, ახალი ბაზებით რომ გაავსო ჩვენი ქვეყანა, მაგრამ „რასიი უმომ ნე პანიატ" თვითონ რუსები ამბობენ ამას და შე დალოცვილო, რაღა ძალით ეხეთქები.



ევროპა და ნატოც ხედავს ჩვენს გასაჭირს და ცდილობს დაგვეხმაროს შეიარაღების, წვრთნების, კადრების მომზადების თვალსაზრისით, მაგრამ აქაც სიფრთხილეა საჭირო. ისიც სათქმელია, რომ რუსეთზე უფრო დიდი მტერი ის ქართველობაა, ქვეყანა რომ ამ დღეში ჩააგდო - ტერიტორიები დაკარგა და საკუთარი ხალხიც გააქცია დარჩენილი ტერიტორიებიდან. თუ რუსეთს ვერ ვერევით და ნატოც შორეული პერსპექტივაა, ის მაინც გავაკეთოთ, მივხედოთ ქვეყანას, აღვადგინოთ ჩატეხილი ხიდი ხალხებს შორის, იქნებ პოლიტიკოსებმაც გაუწიონ ანგარიში საუკუნოვან ურთიერთობებს.

და ბოლოს, ისე გაძლიერებულიყოს საქართველო, აღარც ნატო სჭირდებოდეს და აღარც რუსეთი, აღარც ევროპა და ევროკავშირი და მასზე იყვნენ დამოკიდებული, როგორც კონტინენტალურ გზაგამტარზე, რომელიც სჭირდება მსოფლიოს.

**რატომ „მაერსკი"? - ვისი ინტერესებია?** ანაკლია -ფოთი, მითი და რეალობა

# ფოთელები 30 წელია ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობის ნებართვას ითხოვენ

**ანუ დაიკარგა 30 წელი, რატომ, რისთვის?...**



*30 წლის წინათ ფოთელებს მზად ჰქონდათ ახალი ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობის პროექტი დადასტურებული საერთაშორისო კვლევებით, ამერიკელი ინვესტორები კი მზად იყვნენ მისი მშენებლობის დასაწყებად. გათვალისწინებული იყო ზღვისნაპირსამაგრი სამუშაოები, რომელიც ანგრევს ქალაქს. ასევე - სანაპირო ზოლის ინფრასტრუქტურის განვითარება საკურორტო ტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით, ეს იყო საზღვაო- სავაჭრო, სამრეწველო კომპლექსი – რეგიონული ლოჯისტიკური ცენტრი. ეს იდეა გაჩნდა მაშინ, როდესაც ფოთის ნავსადგური ერთი ამწის ფასად გაიყიდა უცხოელებზე და ქალაქი უფუნქციოდ დარჩა.ათასობით დოკერ - მექანიზატორი დაითხოვეს, არადა, ნიკოლაძისეული კონცეფცია გახლდათ – ქალაქი და ნავსადგური ერთიანი ინტეგრირებული ორგანიზმი. გაიყიდა ქალაქის გეოსტრატეგიული, გეოპოლიტიკური ფუნქცია და დაკარგა ქვეყნის საზღვაო კარიბჭის-საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის სტატუსი და უცხოური კომპანიის ტერმინალად იქცა.*

*როგორც ინფორმაცია ვრცელდება (როგორც იქნა მიხვდნენ) ღრმაწყლიანი პორტი შეიძლება ფოთში აშენდეს და ისევ ,,მაერსკი" ჩაერთვება ამ საქმეში. მაშინ, როცა ფოთელები კარგა ხანია მთავრობას თხოვენ ამ საკითხის მოგვარებას სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით, და არა ისევ რომელიღაც კლანების ჩართულობით. ქვეყანაში შექმნილ კრიზისულ ვითარებაზე და ახალ საზღვაო- სატრანზიტო გზებზე ვესაუბრეთ ფოთის საზღვაო ნავსადგურის ყოფილ მთავარ ინჟინერს, ახალი ნავსადგურის ღრმაწყლიანი მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელს* ***ბატონ ჯემალ გერსამიას.***

***– ბატონო ჯემალ, 30 წელია თქვენ აყენებთ საკითხს ფოთის ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობის თაობაზე, რაც როგორც პრესაში გაიჟღერა სწორი ვერსია გამოდგა და აპირებენ მის რეალიზებას, გამოდის, 30 წელი ტყუილად დაიკარგა. რატომ, რისთვის?***

პრესაში ბოლო დროს იმანაც გაიჟღერა, რომ ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობა კვირიკაშვილ-ხაზარაძის აფიორა იყო და თანამდებობრივ მონაცვლეობასთან ერთად სხვა ელფერი შეიძინა, უბედურება ის არის რომ სახელმწიფო სტრატეგიულ ობიექტებს კერძო პირები განაგებენ და ერთ კლანს მეორე ცვლის. თავის დროზე ,,მაერსკმა" სიმბოლურ ფასად შეიძინა ფოთის პორტი, ფოთს მისგან დიდი სიკეთე არ მიუღია, არადა, ქალაქში შემოდის მილიონები. აქაურობა კი მიტოვებულ დაბას ჰგავს. ბუნებრივია, ჩნდება ეჭვი, მათ მიერ ახალი პორტის აშენების შემდეგაც ქალაქისთვის ბევრი არაფერი შეიცვლება. ისე ცნობილია, რომ ამ კომპანიამ ბევრი ნავსადგური ჩაძირა, მათ შორის ნიგერიის ნავსადგური. რაც შეეხება კლანურ მიდგომას, ეს იმაშიც გამოიხატება, რომ არ მისცეს ამ ფირმას ფოთის აკვატორიაში დაღრმავების სამუშაოების უფლება, ვიდრე არ აშენდებოდა ანაკლიის პორტი. ქვეყანამ უნდა იფიქროს ქალაქ ფოთის სანავსადგურო სტატუსის აღდგენაზე, ერთ დროს იყო საუბარი მუნიციპალური პორტის აშენების თაობაზე, თუმცა, არჩევანი კვლავ სატერმინალო გადაზიდვებზე შეჩერდა. ქვეყანამ ფოთის პორტი დაკარგა და არც ანაკლიის და მომავალი სინგაპურის სჯერა ხალხს. ფოთი 15 მილიონიანი ბიუჯეტით სავალალო მდგომარეობაშია, ინგრევა ფოთელთა სიამაყე საზღვაო ვაგზალი. მეთევზეთა ცნობილი მოლის ნაგებობა, ეკლესია, შადრევნები და ბულვარი სატერმინალო საზღვრებში მოექცა. ზღვის სანაპიროს მოაცილეს დიდი ნიკო ნიკოლაძის ძეგლიც. ქალაქის მთელი ინფრასტრუქტურა უცხოურ ფირმას ემსახურება, გამოდის ფოთი სახელად ჩვენია და სახრავად - სხვისი.

ფოთელებმა თავიანთი ცხოვრებით და გამოცდილებით ყველაზე უკეთ იციან სად არის ღრმა კანიონი. ზღვის და რიონის შესართავთან თუ მის მიღმა. სად უნდა გაშენდეს დამცავი ნაგებობები, რომ პირველივე შტორმისთანავე არ დაინგრეს. მოკლედ, დიდი ვაჟას არ იყოს ,,გაღმა გასვლისა მსურველთა უკუღმა მიგვყავს ბორანი." ჩვენი პროექტები 30 წელია დევს ყველა ინსტანციაში - დაწყებული პრეზიდენტით დამთავრებული მთავრობით და პარლამენტით. საინტერესოა რატომ არ იღებს სახელმწიფო ინიციატივას ფოთის ახალი პორტის მშენებლობასთან დაკავშირებით. რატომ არ უსმენენ ფოთელებს?

დიდი ნიკოლაძე ალბათ ვერ შეეგუებოდა ფოთის ასე დაჩიავებას, რომლის შესახებაც წინასწარმეტყველებდა რომ ,,ოდესღაც იგი აჯობებს ოდესას" და ,,ფოთის მომავალი ყინულზე არ იწერება".

ფოთისა და მისი ნავსადგურის ნგრევა შევარდნაძის ეპოქიდან დაიწყო, ახლა გვიანია იმის გარკვევა ვის რა ბრალი მიუძღვის ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

***– ბატონო ჯემალ, სად არის გამოსავალი? რით შეიძლება ვითარების გამოსწორება?***

საქართველოს საზღვაო ნავსადგურების ხარისხობრივი და რაოდენობრივი გაერთიანების სერიოზულ არგუმენტად უნდა მივიჩნიოთ ევროპის უცნობილესი კომპანიების დასკვნები საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ლოჯისტიკური ცენტრის შექმნის თაობაზე, რომელიც შეძლებს საქართველოს ყველა სახის ტრანსპორტის მუშაობის კოორდინაციას. მოიზიდავს აგრეთვე ე.წ. ,,აბრეშუმის გზაზე" ცენტრალური და შუა აზიის ტვირთნაკადებს, ასევე ევროპისა და ჩრდილოეთ ევროპის ტვირთნაკადებსაც.

ჩვენს, მიერ შეთავაზებული მრავალდარგოვანი სანავსადგურე კომპლექსი მოიცავს საკონტეინერო, ნავთობგამტარ, მეთევზეთა ტეერმინალებს, რომელსაც ახლა წყალგამტარი ტერმინალებიც დაემატება,

კიდევ არის შანსი ახალი პორტის მშენებლობით გაჩნდეს პერსპექტივა ,,აბრეშუმის გზის" ახალ მაგისტრალზე. ამ საკითხზე წლებია ვმუშაობთ ჩვენ. იყვნენ ინვესტორები, რომლებიც ადგილზე გაეცვნენ სიტუაციას, თუმცა, ჯერჯერობით მთავრობის, პარლამენტის მხარდაჭერა არ არის, არავითარი რეაგირება, არადა, ყველა დოკუმენტაცია ყველა შესაბამის უწყებებში დევს. ეს არის პორტისა და ქალაქის ინტეგრაციის, საზღვაო-სარეწველო დარგების განვითარების ერთიანი კომპლექსური კონცეფცია. ჯერ კიდევ 1990 წლის 30 ოქტომბერს გაზეთ ,,ახალ კოლხეთში" იყო გამოქვეყნებული ჩემი სტატია-,,რას მოითხოვს ეკონომიკური სუვერენიტეტი", ეს იყო მოსაზრება ახალი ნავსადგურის მშენებლობის შესახებ. ჩვენ ჯერ კიდევ მაშინ ვფიქრობდით ამაზე. ახალი ნავსადგურის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩვენ გვაქვს ურთიერთობა ჩინეთის ფირმასთან და მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მოსაზრება შავი და კასპიის ზღვების შეერთების თაობაზე - ,,არხი-ფაზისი" - ასე დავარქვი ამ ჩემს ნაშრომს, რომელიც ჩაბარდა პრეზიდიუმს საერთაშორისო ფორუმზე, ,,აბრეშუმის გზა", რომელიც ჩატარდა თბილისში 2015წ. სექტემბერში. ,,არხი- ფაზისი", იქნება ერთ-ერთი მთავარი მაგისტრალი, რომელიც დააკავშირებს ევროპასა და აზიას და მისცემს მძლავრ ბიძგს საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სუვერენიტეტს. ქვეყანა, როცა დადგება კითხვის ქვეშ ეკონომიკური თვალსაზრისით, მინდა ავღნიშნო, მან უნდა დაუჭიროს მხარი იმ პროექტებს და მოსაზრებებს. მთავრობამ უნდა იცოდეს, რომ ,,აბრეშუმის გზის" დერეფანს მიერთებულ ქვეყნებს, დაწყებული ჩინეთით, აქვთ სურვილი ჩადონ ინვესტიციები ამ პროექტში. მართალია, ეს იქნება კოლოსალური დანახარჯი, მაგრამ ასევე დიდი ეკონომიკური ეფექტი. ეს ესმის ყველას, ჩვენი მთავრობის გარდა, არადა, საქართველოს აქვს დიდი შანსი გამოვიდეს საერთაშორისო არენაზე-საქართველო უნდა გახდეს სრულყოფილი ევრაზიის წევრი ქვეყანა. მთავრობა უნდა დაფიქრდეს ამაზე!

ღრმად ვართ დარწმუნებული ქვეყნები, რომელიც უშუალოდ ახლოს მდებარეობენ ამ არხთან, სიამოვნებით ჩაერთვებიან ამ იდეეის განხორციელებაში, რაც ამ ქვეყნებს მაღალ შემოსავლებს მოუტანს. ჩვენ პროექტს გააჩნია შორს მიმავალი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები, რაც გულისხმობს ვაჭრობის და საზღვაო ტრანზიტს ევრაზიაში. ასევე ახალ ენერგეტიკულ პროექტებს, აგრეთვე საშუალება ექნებათ შუა აზიის ქვეყნებს ზღვაზე გასასვლელად, რაც საშუალებას მისცემს ამ რეგიონს მიაღწიოს განვითარების მანამდე არნახულ დონეს. არხი ფაზისი გახდება მძლავრი TRACECA კონკურენტი, სხვა შემთხვევაში ეს ქვეყნები დაიწყებენ ალტერნატიული გზების ძიებას ზღვაზე გასასვლელად.

ამ მიზნის მისაღწევად მთავარი პირობა ისაა, რომ საქართველომ გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი. ეს საკმარისია იმისათვის რომ აზიასა და ევროპას შორის დაიწყოს მძლავრი კოლოსალური სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები. გასაგებია ერთი რამ, საკვანძო ადგილი ამ დიდ პროექტში დაიჭერს საქართველო და ქალაქი ფოთი სხვა დამოუკიდებელი სატრანზიტო მარშრუტი, რომელიც სამხრეთ კავკასიაში გადის ბუნებაში მეტი არ არსებობს. ეკონომისტებმა უნდა გაანალიზონ ყარსი ახალქალაქის მარშრუტის რენტაბელურობა საქართველოსათვის, რომელიც წამგებიანია საქართველოსთვის, ძირითად მოგებას ყარსი ახალქალაქის პროექტიდან თურქეთი მიიღებს. დღესდღეისობით საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი მცირდება და თუ არ იქნა მიღებული გადამწყვეტი ზომები მისი პოტენციალი კიდევ უფრო დასუსტდება და საქართველო თურქეთის ტრანზიტის ინტერესებს დაექვემდებარება. საქართველო იქნება სატრანზიტო ქვეყანა აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის და არა როგორც სატრანზიტო ქვეყანა ევროპა-აზიისა.

**ვიმეორებ, ჩვენი ქვეყანა უნდა გახდეს ნეიტრალური, როგორც შვეიცარია.იგი მსოფლიოს საბანკო ქვეყანაა, საქართველო კი უნდა იყოს მთავარი ჯაჭვი აბრეშუმის გზის დერეფნისა,** სხხვა გზა საქართველოს არა აქვს. ასევე ჩვენ უნდა ვიყოთ სასოფლო-სამეურნეო და ტურიზმის ქვეყანა და ვისარგებლოთ ჩვენი სასმელი წყლის იმპორტით, რომელსაც მსოფლიოში უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე - ნავთობს. ჩვენ ვმუშაობდით ამ საკითხზე ფოთის პორტში, მაგრამ არ დაგვცალდა.

მივმართავ საქართველოს ახალ მთავრობას გამოყენებულ იქნას ის გეოსტრატეგიული, გეოპოლიტიკური საშუალებები, რაც გააჩნია საქართველის. ეს არის ახალი ღრმაწყლიანი ნავსადგურისა და კასპიის და შავი ზღვის შემაერთებელი არხის მშენებლობა ამის ბაზაა, გაზრდილია სავაჭრო ბრუნვა შუა აზიის ქვეყნებისა ევროპაში და აქაა საქართველოს ნაციონალური ინტერესები.

სხვა გზა საქართველოს არ აქვს!

***- ბატოონო ჯემალ, მედიაში ვრცელდება ინფორმაცია ანაკლიის პორტის მშენებლობის საეჭვო ვითარებაზე და მხარდაჭერაზე ,,მაერსკის" მიერ ახალი ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობის საქმეში.***

*გაზეთ ,,ასავალ-დასავალი"-ს მ.წ. №26 (131) ნომერში ჯაბა ხუბუას სტატიაში საქართველო არ მოტყუვდება! სამეგრელო იმედი არ გქონდეს." საუბარია საქართველოს საზღვაო პორტებზე. აშკარად და გამოკვეთილად ჩანს, რომ ახალი ხელისუფლების კურსი საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე წარმოადგენს მორიგ ბლეფს.*

*რატომ ,,მაერსკი"? ვისი ინტერესია? სტატიის მიღმა იმალება ახალი ბიზნესჯგუფების დაკვეთა კომპანია ,,მაერსკი"-ს სასარგებლოდ, რაც ვერაფერს შეძენს ფოთს და ქვეყანას და განპირობებულია ახალი კერძო ინტერესების დაკვეთით სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ.*

*დარწმუნებული ვარ, რომ ამ მთავრობაში ერთ კაცს ეყო ვაჟკაცობა და ახლაც არ უღალატებს ქვეყანას და ბოლომდე იქნება ამ საქმის ერთგული - ეს არის ბატონი გიორგი გახარია.*

*ჩვენ მზად ვართ ამ თემაზე პოლემიკისთვის, რაც გადაუდებლად მიგვაჩნია.*

გმადლობთ ინტერვიუსათვის, გისურვებთ წარმატეტებს 30 წლიანი ბრძოლის მერე.

ზურაბ აბრალავა

# ქალაქის ამბები

## ფოთში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი გაიხსნა



ფოთში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ახალი შენობა გაიხსნა .საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ფოთის რაიონულ სამსახურს ევროსტანდარტების შესაბამისი რეანომობილი გადაეცა. * ადმინისტრაციული ფართი, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორმა, ავთანდილ თალაკვაძემ, ფოთის მაჟორიტარ დეპუტატ ირაკლი ხახუბიასთან, მუნიციპალიტეტის მერ გოჩა კურდღელიასთან და საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულიასთან ერთად გახსნა. * ახალ შენობაში პერსონალის მუშაობისა და მოსვენებისთვის ყველა პირობაა უზრუნველყოფილი. ცენტრი აღჭურვილია საყოფაცხოვრებო და კომპიუტერული ინვენტარით. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტოპარკის განსათავსებლად, შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე სპეციალური სივრცეა მოწყობილი.ახალი რეანომობილის საშუალებით კლინიკებს შორის კრიტიკული პაციენტების ტრანსპორტირება განხორციელდება, რაც რეგიონში გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ოპერატიულობას გაზრდის. * პროექტი ფოთის მუნიციპალიტეტის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხელშეწყობით განხორციელდა.

## გილოცავთ!



*დიდი სიყვარულითა და პატივისცემით დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს დაუღალავ ქრისტეს მხედარს, დეკანოზ **კონსტანტინე ბურჯანაძეს**, – იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძრის მღვდელმსახურს.*

*მადლობა უფალს და ღვთისმშობელს, რომ თქვენნაირი უფლის მოყვარე და მადლიანი მოძღვარი გვარგუნა.*

*თქვენთვის ჩვეული შემართებით, ერთგულებითა და თავდადებით გეტარებინოთ თქვენი სამწყსო, კვლავაც მოყვასის უზომო სიყვარულით ფეთქავდეს თქვენი დიდი გული, ბრძენო მოძღვარო!*

*მოგმადლებოდეთ უფლისაგან ჯანმრთელობა, მშვიდობა და სიხარული თქვენს სათნო მეუღლე ნინოსთან ერთად.*

*თქვენს სულიერ შვილებს კი არ მოჰკლებოდეთ თქვენებური ლოცვა-კურთხევა ორთავე სოფელსა შინა.*

*მოგვიტევეთ ხმამაღალა გამხელილი გრძნობისათვის.*

*თქვენი სულიერი შვილები*

## ქალაქის მერმა, ბატონმა გოჩა კურდღელიამ 6 თვის ანგარიში მოისმინა




ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა კურდღელიამ, 2018 წლის 6 თვის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში მოისმინა.

ანგარიშებით მუნიციპალიტეტის მერის, მერიის სამსახურებისა და ა(ა)იპების წარმომადგენელთა წინაშე, მერის მოადგილეები მამუკა პაპასკირი, გიორგი ფარეშიშვილი და ირაკლი თოფურია წარსდგნენ.

მერის პირველმა მოადგილემ მამუკა პაპასკირმა მის საკურატორო სფეროში შემავალი, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურების, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთა მუშაობის შედეგები შეაჯამა.

საანგარიშო პერიოდში, 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად, შესყიდვების განსახორციელებლად მომზადებულია და სატენდერო კომისიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადებულია 48 ელექტრონული ტენდერი, მათ შორის დადებითი შედეგით დასრულდა 36 ელექტრონული ტენდერი.

მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტული ინფრასრტუქტურული პროექტების განსახორციელებლად, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის 136 განკარგულებით ქალაქ ფოთს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოეყო 4 573 912,00 ლარი, ხოლო პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში 2018 წელს ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრა 4 814 644,00 ლარი, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს 5 პროექტი, მათ შორის: მალთაყვის უბანში სანაპირო ზოლისა და სტადიონის რეაბილიტაცია,ცენტრალური ქუჩების ტროტუარების კეთილმოწყობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ირაკლი თოფურიამ, თავის გამოსვლაში ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების ხარისხზე გაამახვილა ყურადღება. მანვე დადებითად შესაფასა ა(ა)იპ „სერვისების ცენტრის“ მუშაობა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის გიორგი ფარეშიშვილის განცხადებით ქალაქში 2018 წლის 6 თვის განმავლობაში წარმატებით განხორციელდა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამები. ქალაქში ჩატარდა 100-ზე მეტი კულტურული და სპორტული ღონისძიება.

ა(ა)იპ „სერვისების ცენტრის შესრულებულ სამუშაოებზე დირექტორის მოადგილემ ვერიკო ლაღიძემ ისაუბრა. მან გეგმიური სამუშაოებთან ერთად, დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსავლების ზრდაზე, უსაფრთხოების ღონისძიებებსა და სათანადო ინვენტარით მუშა-მოსამსახურეთა აღჭურვაზე გააკეთა ანგარიში.

ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორის მარგო ჯანიაშვილის თქმით, 2018 წელს გაიზარდა საბავშვო ბაღების დაფინანსება, რაც კვების ხარჯის ზრდასა და სარემონტო სამუშაოების ჩატარებაზე აისახა. მარგო ჯანიაშვილმა ბაღების გაზიფიცირებაზეც გაამახვილა ყურადღება.

სახელოვნებო ცენტრში მოსწავლეთა რიცხვისა და შემოსავლების ზრდაზე ისაუბრა ა(ა)იპ სახელოვნებო ცენტრის დირექტორმა ნინო პაჭკორიამ.

სპორტული სკოლებისა და ფოთელი სპორტსმენების მიღწევებზე ა(ა)იპ სპორტული გაერთიანების დირექტორმა ბექა გუგუშვილმა გააკეთა მოხსენება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის 6 თვის გაწეული მუშაობის ანგარიში ქალაქის მერმა გოჩა კურდღელიამ შეაფასა. მან მუშაობის პერიოდში გამოვლენილ პრობლემებზე გაამახვილა ყურადღება და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობაზე ისაუბრა.

## სამეგრელოს მუნიციპალიტეტები ჭუბერში დაზარალებულებს ეხმარებიან



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო მადლობას უხდის ქვემოთ ჩამოთვლილ კომპანიებს გაწეული მხარდაჭერისათვის:

- შპს „ხალიბი“, შპს „პეისი“, შპს „კავტრექსი“, შპს „ინსტრა“, შპს „ტრანსფორდი“, შპს „აისბერგი“, შპს „აჭარა“, შპს „კოლხი-21“, შპს „აისბერგი -2“, შპს „სათნო“, შპს „სერვის +“, შპს „სოფმარი“, შპს „იუნიგრეინ ჯორჯიან გრუპი“, შპს “მოულდს ენდ მეტალჯორჯია”, შპს „ლოჯიტექსი“, შპს „ შავი ზღვის აკვაკულტურის კომპანია“ და სოსო წულაია.

ჭუბერში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ და საკრებულოს წევრებმა ჩაიტანეს. ჭუბერს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციები და კერძო სექტორის წარმომადგენლები ეხმარებიან. შემოსულ პროდუქტებს, დაზარალებულ ოჯახებსა და ჭუბერის თემის ყველა ოჯახს საგანგებო შტაბის წევრები და „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წევრები.

## ფოთში საცურაო აუზის მშენებლობა იწყება



ფოთში სპორტული დარბაზისა და საცურაო აუზის მშენებლობასთან დაკავშირებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია, მოადგილეებთან ერთად, ტენდერში გამარჯვებული კომპანიის „ჩობრა ინსტალაციონეს სერვიციოს”, საქართველოს ფილიალის წარმომადგენლებს შეხვდა. *არქიტექტორმა შავლეგ ჭიჭიაშვილმა და ინჟინერმა ხოსე აბასკალმა ქალაქის მერს შენობის პროექტი წარუდგინეს და მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები განიხილეს. * კომპანია „ჩობრა ინსტალაციონეს სერვიციოს” სამუშაო ჯგუფმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მშენებლობისთვის გათვალისწინებული ტერიტორია დაათვალიერა. * სპორტული დარბაზისა და საცურაო აუზის პროექტის განხორციელება 2019 წელს უნდა დასრულდეს. მისი ღირებულება 14 500 136 ლარს შეადგენს.

## ფოთის მერი თურქეთის გენერალურ კონსულს შეხვდა



ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია, მოადგილესთან გიორგი ფარეშიშვილთან ერთად, თურქეთის გენერალურ კონსულს ქალბატონ მაქბულე ქოჩაკსა და თურქეთის სავაჭრო ატაშეს მიქაილ დევიდოღლუს შეხვდა. ქალბატონი მაქბულე ქოჩაკი, კონსულის რანგში, პირველად ეწვია ქალაქს. შეხვედრისას საუბარი შეეხო ფოთის სავაჭრო-ეკონომიკურ და სატრანსპორტო პოტენციალსა და მცირე ბიზნესის განვითარებას, ერთობლივ პროექტებსა და პროგრამებს სხვადასხვა სფეროში.

## მილოცვა

**მერაბ კორტავას შვილიშვილის შეძენასთან დაკავშირებით**

**ბატონო მერაბ, გულითადად გილოცავთ ოჯახის ახალი წევრის - კიდევ ერთი პატარა ვაჟკაცის შეძენას, რაც უდიდესი ბედნიერებაა თქვენს ცხოვრებაში, რამეთუ სიცოცხლის ძაფი არ წყდება. თქვენი გენი, ხასიათი, ტრადიციები გადადის თაობიდან თაობაში.**

**ღმერთმა გაზარდოს სასახელო ვაჟკაცი, ნამდვილი მამულიშვილი, რომელიც ასე სჭირდება ჩვენს ქვეყანას. ბედნიერება და გამარჯვებები დაბედებოდეს პატარა საქართველოს მომავალ დიდ მოქალაქეს.**

მეგობრები

# პოეზიის საღამო ფოთში
# ქალი, სილამაზე და პოეზია გადაარჩენს სამყაროს!

,,ფაზისს"-ლეგენდების ქალაქს კოლხი პოეტები ეწვივნენ და დაუვიწყარი საღამო აჩუქეს ფოთელებს., ორი საათი უცხო-ლამაზ სამყაროში და თავისუფლების, სიყვარულის და მოგონებების ოაზისში გვამყოფეს.

5 ივნისს პოეზიის საღამო გაიმართა კულტურის სახელოვნებო სახლში, რომელსაც ესწრებოდნენ ხელოვნების თაყვანისმცემლები-ქალაქის საზოგადოების წარმომადგენლები, პოეტები, მწერლები,

ვიდრე საღამო გაიმართებოდა დედაქალაქიდან ჩამოსულ პოეტებს ბელა ალანიას, მაია ხოფერიას, თემურ ცერცვაძეს, ჯუბა ღებელს მასპინძლობა გაუწია საქართველოს მწერალთა კავშირის ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ-ჭაბუკი ქოიავამ. მინი პოეზიის საღამო გაიმართა შუაგულ პალიასტომში, ამ მართლაც ულამაზეს, პირველყოფილ სამყაროში, დიდი სიყვარულით წაიკითხეს ლექსები სამშობლოზე, კოლხეთზე, ფაზისზე, სიყვარულსა და მეგობრობაზე,

ძალიან გაგვახარა ჩვენი კუთხის შვილის ქალბატონ ბელა ალანიას,-ცნობილი პოლიტიკოსის ბატონ შალვა ნათელაშვილის მეუღლის სტუმრობამ. ეს მისი მესამე პოეტური კრებულის პრეზენტაცია იყო, რომელიც სავარდო და სამაისო ქუთაისიდან დაიწყო, ფოთიდან ბათუმში გადაინაცვლა.

ქალბატონი მაია ხოფერია 20 წელია აფრინდა ფაზისიდან, როგორც ხოხობი და კარგი შვილების გამზრდელი, კარგი ლექსების დედაც გამხდარა. როგორც ორაგული, ისე მოილტვის ოდაბადისაკენ და ისიც სიყვარულით შეეგება - ,,ქომორთიო ნანა, სქანი გოლუაფირო". ამაღლებული, ლაღი და თავისუფალი - სამი პოეტური კრებულის ავტორია.

საღამო მოკრძალებული, დიდი სითბოთი და სიყვარულით სავსე სიტყვებით გახსნა ქალბატონმა ბელა ალანიამ და დამსწრეთ გააცნო სტუმრები, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები-ფოთელები მაია ხოფერია და თემურ ცერცვაძე, ასევე კოლხეთის მკვიდრი, წარმოშობით სოფელ ღებიდან ჯუბა ღებელი (გოგრიჭიანი).

პოეტებმა წაიკითხეს ლექსები ახალი წიგნებიდან. სცენიდან იღვრებოდა სევდაც, იუმორიც, იმედიც, ფერები, ასოციაციები, შედარებები.

მაია ხოფერიამ გაიხსენა ფოთში სწავლისა და მუშაობის პერიოდი, მეგობრები, ახლობლები, მადლობა გადაუხადა თანაკურსელს ინგა აბრალავას მოწვევისათვის და შეხსენებისთვის-როგორ ელოდება მშობლიური ქალაქი ფოთი-ფაზისი თავის შვილებს.

სტუმრებს მიესალმნენ საქართველოს მწერალთა კავშირის ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარე ჭაბუკი ქოიავა, პოეტი ლევან მაშავა, ქალაქსის მერის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილი.

დიდი მონდომებით და სიყვარულით წაიკითხა შოთა ნიშნიანიძის ლექსი პატარა გოგონამ, მარი თოფურიამ.

ქალბატონმა ბელა ალანიამ დიდი მადლობა გადაუხადა ამ ლამაზი საღამოს ორგანიზებისთვის სახელოვნებო ცენტრის დირექტორს ქალბატონ ნინო პაჭკორიას, მერის მოადგილეს, ბატონ გიორგი ფარეშიშვილს, ასევე დარბაზში საზოგადოებას სითბოსა და სიყვარულის გამოვლენისათვის.

იყო ყვავილები, სიმღერები, გოგონათა შესრულებით, იყო სევდაც, მოგონებებიც, მონატრებაც, ფიქრიც, დარდიც და სიხარულიც.

მართლაც, დიდებული საღამო შედგა-პოეტური, ამაღლებული, დაუვიწყარი.

ზ. აბრალავა

## ვერ შეგელევი



ერთ დღესაც, როცა მზე
დაილევა,
დაილეწება გრძნობის ველები,
მე შენზე დარდი
დამიმარცხებს,
ვერსად წავუვალ, ვერ მოვერევი.
სხივებით ნაქსოვ ჩვენს ლამაზ
დღეებს,
დაიმონავებს დრო შენარჩენი,
ხელშეუხები როგორც სინათლე
დარჩები ჩემში, ვერ შეგელევი.
ერთ დღესაც, როცა ვერ გამიტაცებს,
ვერ მისაკუთრებს ვნების ტალღები,
კვლავ დავიჩემებ მე ამ სიყვარულს
და მასთან ერთად დავიმარხები.

******

რასაც ახლა ვგრძნობ, სიყვარულზე უფრო მეტია,
რასაც განვიცდი სიყვარულზე არის ძლიერი,
არც ერთი სიტყვა არ ეყოფა ამოსათქმელად,
აღარ ეყოფა არც სიცოცხლე და არც სიკვდილი...
ჩემთან ხარ ახლა ზვრებით, მთებით, ფერად კენჭებით,
ბედნიერება სუნთქავს ჩემში ზღვა ვარსკვლავებით,
ვერც ერთი წუთი ვერ გაუძლებს ჩემს ამ შეგრძნებებს,
უნდა დავნებდე და გავშალო ფართოდ ხელები...
ღამის დინებას მოაქვს კართან ლურჯი ფიქრები,
სადაც ვარ მე და შენ ხარ ისევ ფრთა ოცნებებით.
მზეთა მხმობელი, იდუმალი ხმა თან დამყვება
და სიოსავით დამტრიალებს ფერებ-ფერებით...
ვეღარ დავიტევთ ჩვენ ერთმანეთს,
ვეღარ ვეყოფით, სუნთქვა მეკვრის და
სიყვარულით ისევ ვირთვები,
როცა მგონია, დაღლილი ვარ, გულით მატარებ,
დილის თენებას ჩვენ გულდაგულ ერთად მივყვებით.
თუკი ოდესმე ყველაფერი გაუფერულდა,
ჩამქრალ კოცონს კი მარტოდმარტო მე შემოვრჩები,
ჩახუთულ ჰაერს, უსახო მტვერს ვერ დავეხსნები,
დავცოცავდები, დედამიწას ვერ შევემჩნევი...
ეს მღელვარება, ნუთუ, მართლა, ისე გაქრება,
რომ ვერ შეგიგრძნობ და ვერ გნახავ, უცხო გახდები?
რა ვუყო, მერე, ჩამოწოლილ სიჩუმეს, ჩემო,
დრო მოინელებს სიყვარულს და მართლა გავქრებით?
ჩემო ნაწილო, სუნქვავ ჩემო და შთაგონებავ,
მე ვარ მდინარე ოკეანეს რომ შევერევი.
ეს სიყვარული ჩემზე, შენზე უფრო მეტია,
ჯებირებს გასცდა, უკვე მართლა ვეღარ ვერევი...
ეს სიყვარული სიყვარულზე უფრო მეტია,
მას არ ეყოფა არც სიცოცხლე და არც სიკვდილი,
ასე მგონია, სამყაროში ჩვენ ორის გარდა
არავინაა და ჩვენ მაინც ვერსად ვეტევით...

ბელა ალანია

## პაემანს გითქვამ



დაბნეული ვარ, აღარ ვიცი
ვინა ვარ შენთვის,
წარსული, აწმყო, მზის ჩასვლა
თუ ბაღის იელი,
მეგობარი ვარ, ნაცნობი ვარ, ან
იქნებ სატრფო,
სიყვარული ვარ, ან ახლა ვარ
გადამთიელი.
იქნებ კახპა ვარ, ან პრინცესა, ან მათხოვარი,
დაგდევ და შენი მოფერების ნამცეცებს ვკრიფავ,
დღემდე მაცოცხლებს, რაც შენგან მაქვს დანატოვარი
წლები, რომლებიც ავგაროზად და ჯილდოდ მიმაქვს.
წარსულს ვერავინ ვერ წაშლის და ვერ შეეხება,
ღირსებით სავსე, მე ნუ ჩამთვლით უღირსად ოღონდ
და სიყვარულში, ისევ შენთან თუ შემეშლება,
არ შემიკვეთო, არ მასწავლო, რატომ და როგორ .
პაემანს გითქვამ, მთაწმინდაზე ყვავილობს ნუში,
მამადავითზე მნათე ექვსზე დარეკავს ზარებს,
მოდი დავტოვოთ როგორც იყო ადრე თუ გუშინ
და შევეშველოთ გულს გაჩენილ ნამცეცა მზარებს...

******

## მტირალა ლექსებს.

ისევ მტირალა ლექსებს დაგიწერ,
ვიღაც არიგებს თურმე სიყვარულს,
თეთრ იასამნებს კართან დაგიფენ,
ნუ დამიმალავ ჩემს წილ სიხარულს...
ფიქრებში ვცოდავ და ვებრძვი სხეულს,
ვენებში სისხლი ცეკვით გაერთო,
არ მაპატიო ოცნება ჩვეულს,
არ დამიტოვო შენთან საერთო...
რასაც ვშველოდი, დღეს ვეღარ ვშველი,
დამაკლდა ის რაც, რაც აღარ ითქმის,
მზეც კი არ არის ისეთი მწველი
და ოცნებასაც დაედო ფითრი...
სიმარტოვეა ფერშეუცვლელი,
სულში ნაცნობი სველი ქარია,
ახლა უბრალოდ მინდა ტირილი
და მოფერება ისე ძალიან..
მოდი, ცრემლები კოცნით დამიშრე,
ცხელი თითებით ამტერი მკლავზე,
ჩემამდე მოსულს არსად გაგიშვებ,
ოღონდაც შენი ფერება მკლავდეს...
ვიღაც სიყვარულს არიგებს თურმე,
თეთრ იასამნებს უცნობებს ვაცან,
ქარი ჩამავალ მზეს ვნებით უსტვენს,
მე ტანზე ვიშრობ ნატრემლარ კაბას...

******

## ექსპრომტად

მაგიქრებს შენი თვალების ფერი
და ლურჯი მზერა მაბნევს მძივებად,
ყველა ასაკში ქალს ტრფობა შვენის
ან იქნებ სულის დასამშვიდებლად...
ქალი სავსეა მოგონებებით,
წარსულით თბება, ცრემლსაც ვერ მალავს,
კაცს ფიქრი რჩება მიუწვდომელის,
ღამე კი სევდა თვალის ფსკერს ნამავს...
ლაიცბოცივად გასდევს ცხოვრებას,
სიყვარული თუ დიდი ცდვილი,
კაცს შეუძლია გრძნობები ფანტოს,
ქალს შეუძლია მისთვის სიკვდილი...

მაია ხოფერია



******

ახლა მზე ისე ახლოა
მთებთან,
ლამის ტოტებზე დაის-
ვას ნაძვმა,
როდესაც მახვილს
ვიქნევდი მტრებთან,
ზოგ ძმაკაცს კანი გველივით გაძვრა.
ახლა მზე ისე ახლოა მთებთან,
უცებ შემშურდა დედო ნაძვების,
ოღონდაც პირი არ შეკრა მტრებთან,
და ბრძოლის ველზე თავად გავწვები..

******

## (სადღეგრძელო)

საქართველოს- გაყიდულის,
ბეწვზე ნეკით დაკიდულის,
სადღეგრძელო ნემსის წვერით დავლიოთ,
რომ ბლანქე და ახალუხით
და საყურის ჭახა-ჭუხით,
ქართველი არ მიეგებოს ალიონს.
ჰო, პატარა აფხაზეთი,
ვით დოქს ტუჩი მოტეხილი,
მოვიძიოთ, ძმებო ხელის ფათურით,
ღვინო ცრემლში ვიღამ გაყოს,
„ამა ულა" შემოვძახოთ,
იქნებ ჯერაც ახსოვთ გაღმა ქართული.
ჩვენი და-ძმით, გაფანტულით,
დედამიწა დაწინწკლული
მოვიაროთ წუხილით და ლოცვით,
ვუთხრათ, სხვაგან არ არსებობს
რომ ამგვარი გაზაფხული,
აქ დავკრიფოთ თრიალეთზე მოცვი.
თუნდაც ერთი ღალატის და
თუნდაც ერთი მეგობრის,
ზურგზე, ნეტა, რომელს არ გვაქვს იარა,
მაგრამ მაინც მიტევებით,
მაგრამ მაინც ერთგულებით,
უნდა ვმარგლოთ საძმო ყანა ზიარად.
საქართველოს –გაყიდულის,
ბეწვზე ნეკით დაკიდულის
სადღეგრძელო ნემსის წვერით დავლიოთ,
ალალად ვთქვათ ,რაც გვაქვს გულში,
ერთად გავძვრეთ ნემსის ყუნწში
და კაცურად მივეგებოთ ალიონს.

ჭაბუკი ქოიავა

გაგრძელება მე-6 გვ-ზე

# პოეზიის საღამო ფოთში
# ქალი, სილამაზე და პოეზია გადაარჩენს სამყაროს!

დასაწყისი მე-5 გვ-ზე



### მიწას მივეცრემლები

რის მერანი, რა მერანი,
ვინ ლადო და ტერენტი,
რაც დამმართე,
სხვა ვერავინ,
ვერ მიზამდა
შენს მეტი...
რისი გოგლა,
რისი ტატო,
რისი ლურჯა ცხენები,
გრანელივით ისევ მარტო,
მიწას მივეცრემლები...
გვირილების მინდვრებიდან,
მზე მიმაქვს და ვზივარ შინ,
აღარც რამის იმედი მაქვს,
აღარც რამე მიზანი...
რა დრო დადგა, რა ხმებია,
რა მტვერი და რა გზები,
უკვე იქაც არ გვხვდებიან,
სადაც მივემგზავრებით...
არც თამარის ფრესკა უნდათ,
არც დავითის დიდგორი,
სვამენ ბოლო ჟამის სურას,
წლები უამინდონი...

### როცა ერთად ვართ

როცა ერთად ვართ, დრო მიდის სწრაფად,
როცა არა ვართ, დრო მოკვდეს ლამის,
როგორც სნეულთან, მომიხვალ წამლად,
რაღაცნაირი რიდითა კრძალვით...
შემასმევ ნექტარს და ისევ წახვალ,
ცარიელდება სხეული, სახლი...
როცა ერთად ვართ, ვერაფერს ვამჩნევთ,
ვერც ავდარს, ვერც დარს, სულში სულ მზეა,
ვკითხულობ დღეებს, ვით წიგნის სარჩევს,
ყოფის ზიგზაგებს ნისლებში ვზვერავთ,
მერე მუდმივად ერთმანეთს ვაჩვევთ,
უერთმანეთოდ მზეების მზერას !...

******

მოვა სიბერე, ფლირტი გაქრება,
გადაივლიან ვნების ალები,
მე სიყვარული დამენანება,
ცრემლით, სევდით და ლექსით ნაგები...
დამეზარება უკან მოხედვა,
სულის შემკვრამდე დამენანები !..

ჯუბა ლებელი
(ჯუმბერ გოგრიჭიანი )



******

ცოცხალს მაღლად არ აგდებენ,
მკვდარს დაუდგამენ ძეგლს,
ყველას უგულო ჰგონია,
ის, ვინც გულივით მგერს.

ესაუბრება თავის თავს,
ბალახს, ყვავილს და ხეს,
ჯერ მთელ ცხოვრებას დაჯღაპნის,
მერე სიცილით ხევს.
არც წაროვნას შეუშინდება,
არც ცივსისხლიან მკვლელს,
თავზე ხელი თუ აიღო,
ვერვინ შეუშლის ხელს.
როგორც მოყვარეს ექცევა,
ისე ექცევა მტერს,
ღმერთისგან მეტს არ თხოულობს,
მაინც ღებულობს მეტს.
რა უნდა ელაპარაკოს,
ამდენ რეგვენს და შტერს...
პირმოკუმული ღიღინებს,
თვალდახუჭული წერს!

თემურ ცერცვაძე

## ნაზო თოდუა
## ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი



### ვალშია

ზევიდან ყურებას ნუ ცდილობ, ჩვენი ადგილი ხალხშია!?
უფლის წყალობით კარგად ხარ არ გწყურია და არ გშია.
შენს გვერდში ხედავ ბევრ ვინმეს არ აცვია, თან შია.
ცოტა წყალობა გავიღოთ ნუღარ დავრჩებით ვალშია.

******

### რომელია

ვინ მეძახის, რომელია, სიბერე ხომ არ მომერია,
ადრე სწრაფად ვერკვეოდი ჭაბუა თუ მოგელია,
მიპატრონე, გამარკვიე ახლობელო გოგელია
თუ უფალმა მოიცალა, ნუღარ არკვევ რომელია!...

******

### ბარგი

„არ განმეორდა არაფერი რაც იყო კარგი
რატომ ვისჯებით, ჰე უფალო, მომრავლდეს ბარგი,
უფლის წილხვედრი ღვთის მოშიშეს ტანჯვა გვაკმარე
დროა შევიგრძნოთ დავითის და თამარის მადლი.

******

### საფიქრალი

მე თვითონ ვირწმუნე ვიკეთებ რეკლამას,
კარგად და ჯანზე ვარ ვახერხებ მე ამას.
ეს მაკლია, ის მტკივა ხასიათი გიცვალო,
საფიქრალი მეტი გაქვს, ჩემიც რომ არ ითვალო!...

******

### ვის ჭირდები

შენ თავს ხშირად ნუ ახსენებ,
ვის ჭირდება, მას სულ ახსოვს,
შენც ასე ხარ, დააკვირდი!...
ვინც გჭირდება ის სულ გახსოვს.

## სამადლობელი
## ციალა მიქავას კარგი მკურნალი–პროფესიონალი და მოქალაქე



ამ ნერვიულ ეპოქაში ავადმყოფობა ისე მალე წამოგეწევა, ვერც გაიგებ. მკურნალობისთვის ვერ იცლი და თავს ძალას ატან - როგორმე მოერიო ცხოვრებას, ავადმყოფობას. ბევრგან ვიყავი, ბევრი ვიწვალე საკმაო თანხაც გავიღე, მაგრამ შედეგი არ ჩანდა. ღვთის წყალობით გამოჩნდა ექიმი ნევროპათოლოგი ციალა მიქავა, გამოცდილი, მრავალმხრივ განათლებული, კეთილშობილი ადამიანი და სიკვდილის პირას მყოფი ფეხზე დამაყენა, სიცოცხლე დამიბრუნა. 50 წელია ხალხის სამსახურშია და ყველა ემადლიერება ამ გამოცდილ მკურნალს. მადლობის მეტი რა მეთქმის, ღმერთი გადაუხდის სამაგიეროს.

ალბათ, ბევრს დააინტერესებს ამ ექიმის ნევროპათოლოგის მისამართი, იგი მოღვაწეობს ზუგდიდის სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრში, მინდა ყველა დარწმუნდეს მის დიდ შესაძლებლობებში.

პატივისცემით
დარიკო აქუბარდია
ფოთი

## ოქროსხელებიანი ხელოსანი ხალხის სამსახურში
## იგორ ტყებუჩავა: მინდა ადამიანებს უანგაროდ ვემსახურო



მისი მთელი ცხოვრება კეთილსინდისიერ შრომას უკავშირდება, 30 წელი ჩაის მეურნეობაში იმუშავა, ახლა პენსიონერია, მაგრამ ვერ ისვენებს, რადგან დღეს, როცა ადამიანებს თითქოს მიავიწყდა შრომა და შრომის იარაღი, ამ პატარა სახელოსნოში მაინც სუნთქავს ის ძველი სამყარო-რიონის პირას ფეშენებელური სახლების უკან პატარა ადგილი აქვს მიჩნეული და ისმის დღედაღამ ხან შედუღების, ხან ალესვის, ხანაც ჭედვის ხმაც. ცელი, ნაჯახი, ბარი, თოხი, ფეცხი, ჩაქუჩი, ცელი და ა. შ.

თანაც უანგაროდ ემსახურება იმათ, ვისაც არა აქვს გადახდის საშუალება. ხანდახან დაღლილები თითო ჭიქასაც წაუქცევენ, რომ დაივიწყონ ამ ცხოვრების უკუღმართობა. მართლი და ალალი ადამიანები - უღალატო, პატიოსანი კეთილი, მშრომელი, თავის საქმეს აკეთებენ და სხვასაც რგებენ.

იგორს შვილები, შვილიშვილები გარს ახვევია და უხარია, როცა თავის წვლილი შეაქვს ოჯახში, სარჩენი რომ არაა და ჯერ კიდევ მხნედაა და შრომა შეუძლია.

ვუსურვოთ დიდხანს სიცოცხლე და ემრავლოს ისეთ ადამიანებს, ვისაც უყვარს შრომა, სოფელი, მიწა და მისი დამუშავება. ყველაფერი ხომ აქედან იწყება.

ზ. ნარაძე


## მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი

თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს.

თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.

ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)



სურათზე: მაგიდა შეყვარებულთათვის

ადამიანები დროში

# ისინი ცოცხლობენ მარად



არ დავიწყება მოყვრისა ქართველებს ძველთაგან მოგვდევს. ეს ჩვენს სისხლში გამჯდარი ტრადიციაა, და უკვდავია ერის ხასიათშიც ეს ტრადიცია ცოცხლობს.

ქართველი კაცი მოყვარეში მხოლოდ ნათესავსა და მეგობარს არ გულისხმობდა. პირველ რიგში იგულისხმებოდა, ის ადამიანი, ვინც მან გულით შეიყვარა, ვინც მისი სიყვარული დაიმსახურა. ლაპარაკია მოამაგე ადამიანებზე - ვინც ამაგი გაიღო ქვეყნისა და ხალხისათვის, ვინც ბოლომდე გაისარჯა, ვისაც ქვეყნის ტკივილი არ ასვენებდა და ძილს უკარგავდა.

და ცოცხლობენ ასეთი ადამიანები ხალხის ხსოვნაში დიდხანს. ავიღებ ჩემს თავზე პასუხისმგებლობას და დავასახელებ რამოდენიმე პიროვნებას, ვისი სახელიც ფოთელებს დიდ ხანს ემახსოვრებათ.

უტოპიაში რომ არ გადავვარდე, ახლო წარსულიდან პირველ რიგში დავასახელებ ნიკო ნიკოლაძეს, ვინაიდან მისი ხელი ყველაზე უფრო აჩნია ქალაქს. მისი მოღვაწეობის პერიოდიდან იწყება თანამედროვე ფოთი. ნეტავ დაგეგმარებიდან არაფერი შეცვლილიყო - დღეს გვექნებოდა ულამაზესი კოპწია ქალაქი.

რა თქმა უნდა დრო ცვლის ყველაფერს, იცვლება ელფერი, შემოდის ახალი ტექნოლოგიები, ჩნდება ახალი ხედვები, იცვლება მიდგომა, იზრდება მოთხოვნილება, მაგრამ არ უნდა შეიცვალოს ძირითადი ნიშნულები- ფოთი ყველა ეპოქაში უნდა გავდეს ფოთს., როგორიც შთამომავლობას დაგიტოვა ნიკო ნიკოლაძემ. სრულებით არაა საჭირო დღეს ის დავამსგავსოთ ჩიკაგოს ან სერანევადას ულამაზეს კუთხეს.

ნ. ნიკოლაძის ცხოვრება და მოღვაწეობა ქ. ფოთში კარგი მაგალითია იმისა თუ როგორ უნდა ემსახურო ქვეყანასა და ხალს, როგორ უნდა დაიხარჯო დიდი მიზნების განსახორციელებლად.

ბევრი წინააღმდეგობისა და დაბრკოლების მიუხედავად ის გაუტეხელი აღმოჩნდა და ბოლომდე უერთგულა ფოთს.

ასევე არ გვავიწყდება ფოთელებს ქალაქის თავის გრიგოლ კოკაიას ამაგი და ღვაწლი. დაჭაობებული ადგილების დაშრობა, ქალქის განაშენიანება, მწვანე მასივების მოწყობა მალთააყვაში და ჭალადიდის გზატკეცილზე ცოცხალი ძეგლები მისი სახელის უკვდავსაყოფად.

ფოთში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ადამიანები, რომლებმაც ეროვნული შემართებით, პროფესიული ოსტატობით და პირადი ხიბლით შორს გაუთქვეს ქალაქს სახელი.

მე დიდი სიამაყით დავასახელებ ფოთელთა ნამდვილ მოამაგეს, დიდ პატრიოტრსა და საბჭოთა მოღვაწეებს ნინო ჟვანიას, გრიგოლ გაბუნიას, გრიგოლ ზამბახიძეს და ილია ლაღიძეს, რომლებმაც თავისი ცხოვრების მეორე ნახევარი უკვე დედაქალაქში განაგრძეს სამთავრობო ორგანოებში მუშაობით, მაგრამ ერთი წუთითაც არ ივიწყებდნენ მშობლიურ კუთხეს.

მსოფლიო აღიარება ჰპოვა გეოგრაფ თეოფანე დავითაიას შრომებმა, მეტად ნაყოფიერი გამოდგა ნიადაგმცოდნე მეცნიერის, ,,კოლხეთის მინდიად მონათლული" ალექსანდრე მოწერელიას კვლევები კოლხეთის ათვისების საქმეში.

რა სარწყავით შეიძლება აწონო და შეაფასო ქალაქის წამყვან საწარმოთა უბადლო ხელმძღვანელების კონსტანტინე რეკვავას, გიორგი ვატაევის, რევაზ გაბისონიას ან ვლადიმერ კეშელავას შრომა და გარჯა, რაც მათ თავიანთ საწარმოებს შეალიეს და რა ღვაწლიც მათ გაიღეს.

აბა გავიხსენოთ პეტიკო ზამბახიძე, კაკო ჟღენტი, კოხე (გიორგი) მეტაქსა, ღოღო ხოფერია, ღუტუნა ეფრემიძე. მათ ფოთისადმი ერთგულებას და შემართებას შეედრება რამე? ქალაქის დასამშვენებლად.ხომ უბადლოა და განუმეორებელი ბორის პაიჭაძე, ნამდვილი ,,ფეხბურთის კარუზო".?

განა სამუდამოდ არ დაიდეს ფოთელთა გულებში ბინა სწორუპოვარმა დასტაქრებმა კოწია მიქაბერიძემ, ილარიონ ცომაიამ, ბიჭიკო თურქიამ, მამია ჩხაიძემ, კატუშა ღოღობერიძემ, შოთა სვანიძემ, ლოთო ტუღუშმა? ვინმეს შეეპარება ეჭვი თუ ვიტყვით, რომ ფოთელებს მასწავლებლებიც განუმეორებელი გვყავდა: ფიზიკა-მათემატიკოსები ფილიმონ ნადარეიშვილი, პორფილე ბარამიძე, დავით ხოჭოლავა, ქიმიკოსები კონდრატე ნადარაია და თინა ჭოჭუა, ქართული ენის დიდოსტატი, დარბაისლობით ცნობილი, პიმენ ნაცვლიშვილი, სკოლის საქმის დიდებული ორგანიზატორები, სკოლის დირექტორები თინა სარიშვილი, ნინა ქოიავა, თამარ გაბუნია და ალექსანდრა აბდუშელიშვილი. მათ მიერ გადმოცემული ცოდნა და ზნე-ჩვევები წითელ ხაზივით დიდხანს გაგვყვება ფოთელებს.

დიდხანს დარჩება ფოთელთა ხსოვნაში ახალგაზრდების ნამდვილი წინამძღვრები ზურიკო ნადარეიშვილი, შოთა რუხაძე, დემური ბერაია და ნელი გეგეშიძე. მართალია ისინი სამივე ძალიან ადრე წავიდნენ ცხოვრებიდან და ბევრი ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩათ, მაგრამ, როგორც იტყვიან ტაროსი ამინდი დილიდან ჩანს, მათაც მოკლე დროში შეძლეს თავის გამოჩენა.

ფოთელ დიდებულთა ჩამონათვალს, რა თქმა უნდა, ამით ვერ ამოვწურავთ, ისინი გაცილებით მეტნი არიან. ყველა გახსენებისა და ყურადრების ღირსია.

**ომარ ხუხუნი**

სიკეთის გაკვეთილები

# ვერიკო გოგიაშვილის ნათელ ხსოვნას



1937 წელს დავიბადე თბილისში, მაშინაც კი, როდესაც ადამიანებს უმოწყალოდ ხვრეტდენ, იბადებოდნენ კიდეც. შეიძლება, 2 ან 3 კაცის მაგივრადაც კი დავიბადე. მართლაც ბავშვობიდან ვშრომობ და შრომაში ვპოულობ ბედნიერებას.ესეც რომ არ იყოს, მე მაინც ვეცდებოდი, რომ იმაზე მეტი მეკეთებინა, რაც მევალება, იმიტომ, რომ ვალი მაქვს გადასახდელი, დიდი ვალი, თუმცა ამაზე წერილის ბოლოს მოგახსენებთ, ახლა კი დავიწყოთ თავიდან.

1948 წელს მეხუთე კლასში ვსწავლობდი. იმ დროს თბილისშიც ნამდვილი ზამთარი იცოდა, მკაცრი და თოვლიანი. ბევრჯერ გამომიცდია ჩემ თავზე ,,ყინვა და პატარა მოწაფის ეპიზოდი. ჩემს მოსაცმელს, რომელსაც ერთ დროს ქურთუკი ერქვა, გაშრობა არა და არ უნდოდა, სულ ნესტიანი იყო, რადგან სახლშიც ციოდა და სკოლაშიც. ერთადერთი ღუმელი, რომელიც სამასწავლებლოს კედლებში იყო ჩამონტაჟებული, რას გაათბობდა ამხელა სკოლას. მე ყოველ შესვენებაზე გავრბოდი და ზურგით თბილ კედელს ვეყრდნობოდი, რომ ცოტათი მაინც გამეშრო ნესტიანი ,,ქურთუკყოფილი". მასწავლებლები სიყვარულით მიყურებდნენ, მაგრამ იმათაც ხომ ძალიან უჭირდათ.

ერთხელაც, როდესაც მორიგ შესვენებაზე ღუმელის თბილ კედელზე ვიყავი აკრული, მომიახლოვდა ჩვენი სიმღერისა და ხატვის მასწავლებელი, ვერიკო გოგიაშვილი, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა, რომ 5 გაკვეთილის შემდეგ სამასწავლებლოს კარებთან დავლოდებოდი.

ქალბატონი ვერიკო ძალიან თბილი და ალერსიანი მასწავლებელი იყო. იგი მარტო სიმღერას კი არა, ურთიერთობას, ერთმანეთის სიყვარულსა და პატივისცემას გვასწავლიდა. მისგან გავიგე პირველად გამოთქმა: ,,მოიქეცი ისე, როგორც შენ გინდა მოგექცნენ". შესანიშნავად იცოდა საქართველოს ისტორია. ისე საინტერესოდ, ჩუმი ხმით გვიყვებოდა ისტორიულ მოვლენებს, ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიებს, რომ ბავშვები პირდაღებული ვუსმენდით. გვიყვარდა მის გაკვეთილზე ჯდომა. ვიცოდით, რომ მუსიკალური განათლება მოსკოვში ჰქონდა მიღებული, ჰყავდა პატარა გოგო, რომელსაც მეუღლის გარეშე ზრდიდა. აგროვებდა ხალხურ სიმღერებს, ლექსებსა თუ გამოთქმებს, უყვარდა სამშობლო და ჩვენც ამ სიყვარულს გვინერგავდა.

ხუთი გაკვეთილის შემდეგ ჩავედი სამასწავლებლოს კართან და ვნახე, რომ ქალბატონ ვერიკოს ჩემს გარდა ოთხი ბიჭი ელოდებოდა - ზოგი ჩემი პარალელური კლასიდან, ზოგიც სხვადასხვა კლასიდან ამორჩეული ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბავშვები: ანზორ ბიბილაშვილი, ნოდარ კვანტალიანი, გიორგი თხინვალელი და გივი ვაჩირძე, ყველა ერთმანეთზე უარესიაო, ეგზოტიკურად ჩაცმული, ზოგს ფეხსაცმლიდან თითიც კი გვიჩანდა. არც ერთმა არ ვიცოდით, რისთვის დაგვიბარა მასწავლებელმა.

დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირვებია, გამოვიდა ქალბატონი ვერიკო, ალერსიანი თვალებით ყველას ცალცალკე შემოგვხედა, მოგვეფერა, აბა წავედითო - გვითხრა და გავყევით.

ქუჩაში გავედით იანვრის ძალზე სუსხიანი დღე იყო, ძველი დახეული ყურებიანი ქუდი იღლიაში მქონდა ამოჩრილი, რადგან მასწავლებლის წინაშე ქუდის დაფარვას როგორ გავბედავდი. ქალბატონმა ვერიკომ ძალით ჩამომაცავა თავზე ქუდი და ალერსიანი ხმით მითხრა: რომ არ მომეხადა.

ცოტა ხანში თბილისის ცენტრალურ უნივერმაღს მივადექით, რომელიც კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წინ (ეხლანდელი ,,თიბისი" ბანკი) იყო განთავსებული.

ქალბატონმა ვერიკომ მთელი უნივერმაღი მოგვატარა, რადგან თბილი ფეხსაცმელით დაწყებული, ქუდით დამთავრებული- ყველაფერი გვიყიდა. ცალცალკე გვაზომებდა თითოეულს ჩასაცმელს, შარვალი იქნებოდა თუ პიჯაკი, პერანგი თუ პალტო, ტრუსები, მაისურები, წინდები და სხვა. არც ცხვირსახოცი და პიონერის ყელსახვევი დავიწყებია.

საყიდლებს რომ მოვრჩით წაგვიყვანა თავის პატარა, ერთსართულიან სახლში, რომელიც ნაძალადევში, ცისარტყელას ქუჩაზე მდებარეობდა. (აკი ცისარტყელასავით გამოჩნდა ქალბატონი ვერიკო ჩვენს მოღრუბლულ ცაზე, მას შემდეგ, როცა ცისარტყელას დავინახავ, მაშინვე დაუვიწყარი დღე მახსენდება). წყლის გასაცხელებლად დიდი ქვაბი ცეცხლზე დადგა და ვიდრე წყალი გაცხელდებოდა, ხუთივეს თმა შეგვაჭრა, შეგვისწორა, წყალიც გაცხელდა, ძველი ტანსაცმელი გაგვხადა, დაგვბანა. ახალ ტანსაცმელში გამოგვაწყო, გვასადილა და გაგვიშვა სახლებში.

ხშირად გონებაში, გამიელვებს, ხოლმე კითხვა: ქალბატონ ვერიკოს ეს უანგარო სიკეთე რომ არ გაეკეთებინა, ჩვენ ხუთეულიდან ყველა მივაღწევდით თუ არა გაზაფხულამდე? ეს მართლა საკითხავია.

ქალბატონმა ვერიკომ ცხოვრება სიკეთის თესვაში გაატარა. გარდაიცვალა 67 წლის ასასაკში 1981 წელს. მისი გარდაცვალებიდან 30 წელი სრულდება და მინდა ამ წერილით ერთხელ კიდევ გავიხსენო ჩემი საყვარელი მასწავლებელი, თქვენ კი გაგაცნოთ პიროვნება, რომელსაც უზომოდ უყვარდა თავისი სამშობლო, თავისი საქმე და თავისი ხალხი.

1964 წელს, როცა უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში ლაბორანტად ვმუშაობდი, ქალბატონ ვერიკოს დაბადებიდან 50 წლის იუბილე გადაუხადეს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. წინა დღეს ჩემი ყოფილი სკოლიდან ორმა მასწავლებელმა მომაკითხა და გადმომცა ქალბატონ ვერიკოს თხოვნა გამოვსულიყავი მის იუბილეზე მისასალმებელი სიტყვით. თანხმობა მივეცი, მადლობა გადავუხადე და რადგან დრო ძალიან ცოტა მქონდა, მაშინვე დავიწყე ფიქრი წარმოსათქმელი სიყვის მონახაზზე. მაგრამ თითქოს, ქალბატონი ვერიკო მკარნახობდა უცებ, ჩემ გარეშე, ჩემი ხელით დაიწერა მისალმება.

ღამის მინდია, თუ დღე კაშკაშა,
ზამთარია თუ გაზაფხულია,
როცა ჩავუვლი ჩემს სკოლის
კედლებს,
გამოვიცვლები იმ წამს სრულიად.
მომაგონდება ბავშვობის ხანა,
ყველაზე ტკბილი რომ არის ახლა,
საფეხურებად დაწყობილ წლებზე
როგორ ნელ-ნელა ვიწევდით
მაღლა.
იყო შიმშილი, იყო სიცივე,
იყო იმედიც, ახლაც რომ არის
იმ სამიათას ცხრაასი დღიდან
მე ერთი დღე მაქვს მოსაგონარი.
დღე ზამთრის ყინვით, სუსხით
მოსული
ბობოქრობდა და იმუქრებოდა;
იცოდა ყველამ, შენთან სკოლაში,
ხუთი ობოლი რომ იზრდებოდა.
ხედავდი იმათ ნამდვილ ვაებას,
თითქოს, თვალთაგან ცრემლი
გცვიოდა,
ტანზე არ ეცვათ თბილად
პატარებს,
უცქეროდი და შენცა გციოდა.
მაშინ მოხვიე ხუთივეს ხელი,
თბილად ჩააცვი, თბილად დახურე.
მშობლიურ გრძნობით გათბე
გული
და სიყვარული დაიმსახურე.
ეხლა კი მისმენ იმ ხუთიდან ერთს,
მაგრამ არასთქვა-ნეტავ მაშინო,
ჟამთა სწრაფმა სვლამ, ჭაღარა
თმებმა,
უსინათლობამ არ შეგაშინოს.
მე ეგ ჭაღარა მყინვარს მაგონებს,
წლებს შენ თმებზედაც დაუთოვია,
თვალთა სინათლემ თუ მიგატოვა,
შენზე ძვირფასი სხვა უპოვია?
ზეცას შევხსენით შვიდივე კარი,
ჩანს ახალი გზის მკრთალი
ხედები,
უსინათლობა შენ რას დაგაკლებს,
უიმისოდაც შორს იხედები.
გაცრეცილ ფურცლებს ფრთები
შეასხი,
მკერ საიდუმლოს ფარად ახადე,
და ჰა! ვუცქერით იმ ნათელ
სურათს,
რაც მადლიანი ხელით დახატე.
ვალის გადახდა არ მიფიქრია,
იმ ვალს მოვიხდი ხალხის წინაშე,
მომავლის საქმეს ვემსახურები,
ვიდრე მიდგია თვალში სინათლე.
ახალ ცხოვრების მშენებლობაზე.
ხარაჩოებზე ამაყად მდგარი,
ერთის მაგივრად ორ აგურს
დავდებ,
რომ ერთი იყოს ვერიკოს ვალი.
თქვენ კი გისურვებთ
პატივცემულო,
,,კვლავაც ნათელი გზებით იაროთ,
ნება მიბოძეთ გადაგეხვიოთ,
ჩემო ძვირფასო იუბილარო.

დავამთავრე მისალმება, მივედი ქალბატონ ვერიკოსთან და გადავეხვიე. მან კი ძალიან, ძალიან მაგრად ჩამიკრა გულში და ორივე ავტირდით. Gგადმოვხედე დარბაზს და დავინახე, რომ პირველი ორი რიგი, სადაც ჩემი ყოფილი მასწავლებლები ისხდნენ ტიროდა, ატირდა დარბაზიც და ცრემლით დასველებული ხელებით დაკრული ტაშით დააჯილდოვა სიკეთის გაკვეთილის ავტორი.

ეს იყო მაშინ.

ნეტავ ახლა როგორ არის?

ხომ არ შეგვეტანა განათლების პროგრამაში-სიკეთის გაკვეთილები?

**ავთო ჩხიკვაძე**
**ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.**

## გერმანელი მეგობრის, დიდი ჰუმანისტისა და მოქალაქის
# პიტერ ლაისტერის ხსოვნას
### „მიდიხარ ტკბილი გქონდეს მგზავრობა"



ადამიანები ქმნიან და ამდიდრებენ, ამტკიცებენ და აღრმავებენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას-მეგობრულს, გულშემატკივრულს და ყველაზე დიდი სიმდიდრეც სწორედ, ასეთი ურთიერთობაა. არიან პიროვნებები, რომელთა მოღვაწეობა სახელმწიფო საზღვრებს სცილდება და ისტორიულ ფოლიანტებად იქცევა, რომელსაც ვერაფერს აკლებს ჟამთასვლა. ასეთ ადამიანებს მიეკუთვნებოდა პიტერ ლაისტერი.
გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის მძიმე წლები ედგა, რუსულმა ინტერვენციამ და საზოგადო ომმა დიდი საფრთხის წინაშე დააყენა ქვეყანა. გერმანია იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც დახმარების ხელი გამოგვიწოდა. საქართველოში და განსაკუთრებით ფოთში 1995 წლიდან ჰუმანისტური მისიას წლების განმავლობაში მეთაურობდა პიტერ ლაისტერი, რომელიც ხელმძღვანელობდა მუშა სამარიტელთა კავშირის ორგანიზაცია შ. იგი ეხმარებოდა ლტოლვილებს, შეჭირვებულებს, ინვალიდებს, უმწეო მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს და ამ მიზნით ახორციელებდა სხვადასხვა პროგრამებს სასოფლო - სამეურნეო დარგში. ფოთში 60 ოჯახს დასამუშავებლად გადასცა მიწები შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით, აქვე გაიხსნა კოოპერატივი, მოსავალს ურიგებდნენ შეჭირვებულებს, მრავალშვილიან ოჯახებს. პიტერ ლაისტერმა ბევრი რამ გაუკეთა მოსახლეობას სამედიცინო დახმარების, მედიკამენტებისა და ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
მას დიდი წვლილი მიუძღვის მთელ რიგ რაიონებში ბუნებრივი რესურსების გამოყენების, მათ შორის თევზის მეურნეობის აღორძინების საქმეში. სწორედ, ერთ-ერთი ჰუმანიტარული მისიის განხორციელებისას გაიცნო ხობის საავადმყოფოს ექიმ-გინეკოლოგი ქალბატონი გულიკო ხარჩილავა და ცხოვრების ბედიც სამუდამოდ მას დაუკავშირა.იგი აღმერთებდა ქალს, როგორც მარადი ქმარი, ეს გახლდათ ერთი ლამაზი სიყვარულის ისტორია, ამაღლებული, ბედნიერებით აღსავსე, ამ დიდი სიყვარულის გაგრძელება იყო ორი ულამაზესი ქალიშვილის დაბადება, რომელსაც თავს ევლებოდა და ზრდიდა ქართულ-გერმანული ტრადიციებით. პიტერმა ფოთში სახლი ააშენა,მოგვიანებით კი იგი საჩუქრად გადასცა გერმანელ ოჯახს.
სამწუხაროდ, ადამიანები უკვდავები არა ვართ, მაგრამ ჩვენი ნაღვაწ - ნაამაგარით ვაგრძელებთ ცხოვრებას. პიტერ ლაისტერს დიდხანს გაყვება საგზლად იმ ქვეყნის საუფლოსკენ მიმავალს, უანგაროდ, სიყვარულით გაკეთებული საქმეები. მას ძალიან უყვარდა საქართველო და ქართველები. კარგად იცოდა, რომ გერმანულ-ქართულ ურთიერთობებს ღრმა ფესვები ჰქონდა, თუნდაც არტურ ლაისტისა და ილია ჭავჭავაძის მეგობრობა რად ღირს.
გასული საუკუნის დასაწყისში საქართველოს პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკის აღიარებას გერმანელმა სახელმწიფომ დაუჭირა მხარი და ამ დოკუმენტს ფოთში მოეწერა ხელი, 90-იან წლებში მეორედ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას ასევე ერთ-ერთმა პირველმა გერმანიამ დაუჭირა მხარი და ამას მოყვა ჰუმანიტარული მისია, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმწოდებელი იყო პიტერ ლაისტერი.
ფოთელებს დიდი, გამორჩეული პირონული თვისებების გამო დიდხანს გაყვებათ მისი სიყვარული, მასთან გატარებული დაუვიწყარი დღეები. სტუმარიც ყოფილა და მასპინძელიც, ორი ქვეყნის სიყვარული ბოლომდე ატარა და საქართველოს მორე სამშობლოდ მიიჩნევდა. სადაც შექმნა ამქვეყნიური მთავარი ღირებულება - ოჯახი. სიცოცხლის ძაფი არ წყდება, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები უკვდავყოფენ ნის ნათელ ხსოვნას.
ჩვენ კი ყოველთვის გვემახსოვრება დიდი ჰუმანისტი, გაჭირვების ჟამს გვერდში მდგომი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნება, განათლებული, სიკეთის მთესველი, მუდამ მომღიმარი, იმედის მომცემი კაცი პიტერ ლაისტერი. გარდაცვალება ცოდვილთათვის არის სიკვდილი, თორემ განწმენდილთათვის უკვდავების დასაწყისია.
თაობები დიდხანს ივლიან ქართულ-გერმანული ურთიერთობების იმ დიდ ხიდზე,რომლის მშენებლობაში ღირსეული წვლილი მიუძღვის პიტერ ლაისტერს. იგი ორ ქვეყანას შორის სიყვარულის და მეგობრობის ერთიან სივრცეს ქმნიდა. ამიტომ დააკლდა ყველას და მათ შორის ფოთელებს.
ღმერთმა ნათელმა ამყოფოს მისი დიდესული.

ქალაქ ფოთის საზოგადოება

---



საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანთა კავშირი „ფაზისი-დიოსკურია"-ს წევრები და ქალაქ ფოთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ვეტერანი მუშაკები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 59 წლის ასაკში ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პოლიციის ვეტერანი მუშაკი, ერთგული მეგობარი და ღირსეული მოქალაქე

**ბივი ქორას -ძე გაბელია**

და თანაგრძნობას უცხადებენ მიცვალებულის ოჯახს.

---

## მზევინარ ბერაია-ნაჭყებიას ხსოვნას
### „რა იცი კაცი სად წაიქცევი, თორემ იმ გზაზე სულ არ გაივლი"



ცხოვრების შუადღეზე უმტყუვნა ბედმა. სიცოცხლით სავსე ქალბატონი ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა. მოულოდნელი და იმდენად დიდია ეს ტრაგედია, ახლობლებს ახლაც უჭირთ მომხდარის გათავისება, რომ არა გზა, რომ არა ავარია, კარგი მეუღლე, დედა და ბებია ცოცხალი იქნებოდა, ახლა ჭირდებოდა ყველაზე უფრო იგი ოჯახს, როგორც ბურჯი, შრომისმოყვარე, ენერგიული, ქართული სამზარეულოხ უბადლო მცოდნე. ყველა მის მაღაზიას ეტანებოდა, სადაც საკმაზი-სუნელობა, კომპოტები, წვენები და ოჯახისთვის ყველა აუცილებელი პროდუქტი იყიდებოდა. თანაც როგორი მომსახურება იცოდა, მუდამ მომღიმარი, კეთილი, კარგი მოსაუბრე, განათლებული, მან **რაულ ნაჭყებიასთან** ერთად დიდებული ოჯახი შექმნა, რომელსაც ბურჯად ედგა მთელი ცხოვრება, ყველას ეიმედებოდა, ყველას გვერდში მდგომ და დამხმარე, დაუზარელი, სიყვარულით და სიკეთით სავსე.
სიცოცხლე გრძელდება, სამწუხაროდ მის გარეშე - საფლავის ქვაზე გაჩნდა სურათი და წარწერა-მზევინარ ბერაია,
სხვა რა დაგვრჩენია -ჭიქა ღვინო და საფლავთან მიტანილი ყვავილები.

ახლობლები,
მეგობრები

---

**იყიდება:**
ორსართულიანი კაპიტალური სახლი, ქალაქის ცენტრში განაშენიანებული ეზოთი, იერუსალიმის ქუჩა № 8
ტელ: 551 499 555; (0493)25 09 05

---

ლენა არჩაია, ინგა გვასალია, ელენე, თეკლე, პაატა გეგენავები, ნოდარ, დათუნა ჩოჩიები გულითადად თანაუგრძნობენ ჩხარტიშვილების ოჯახს - ბატონი

**გენადი შალვას–ძე ჩხარტიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---



შვილი - ქეთი ხუხია, შვილიშვილები - ანანო და საბა, სიძე - გოჩა, ლუიზა, ნანა, ლიზი, ბოგდანი, გიორგი, ლუკა გეგენავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**დემურ ვლადიმერის–ძე ხუხიას**

გარდაცვალებას.

---

ლენა არჩაია, ინგა გვასალია, ელენე, თეკლე, პაატა გეგენავები, ნოდარ, დათუნა ჩოჩიები გულითადად თანაუგრძნობენ ქეთი ხუხიას და გოჩა გეგენავას მამის -

**დემურ ვლადიმერის–ძე ხუხიას**

გარდაცვალების გამო.

---

## ომარ ხურციას ხსოვნას
### „კარგსა რადა კლავ სიკვდილო, განა შენც არა კვდებია?"



წარმოშობით სენაკელმა კაცმა, მთელი ცხოვრება ფოთსდაუკავშირა. დიდი გზა გაიარა სწავლით, შრომით, ჯაფითა და წვალებით. მისთვის მთავარი ის პატარა ღმერთი იყო, სინდისი და კაცობა რომ ჰქვია, ამ ღირსებბებს ვერაფერი ვერ დაჩრდილავს, დიდ სიყვარულს თვით დიდი მდინარენიც ვერ წალეკენ. სიყვარულით ემსახურა ქვეყანას, სიყვარულით შექმნა ოჯახი, სამი შვილი, შვილიშვილები ეხვია გარს და ეიმედებოდა, რომ სიცოცხლის ძაფი არ წყდება-სიცოცხლე გრძელდება.
დარჩა ლამაზი მოგონებები, ერთი უბრალო, უპრეტენზიო, მაგრამ კეთილ კაცზე, რომელიც ჩუმად, უხმაუროდ აკეთებდა დიდ საქმეს. წლების განმავლობაში მუშაობდა ბუღალტერ ეკონომისტად ცეკავშირის სისტემაში, პედაგოგად - პროფტექნიკურ სასწავლებელში. პატიოსნად გაატარა წუთისოფელი,იცხოვრა ჩუმად და ჩუმად წავიდა, დაგვიტოვა სინანული, მონატრება. მას ძალიან უყვარდა ახლობლები, მეგობრები, კარგი მასპინძელი, მომლხენი და სხვათა ჭირის მოზიარე იყო. დიდი წვლილი მიუძღვის დიშვილების აღზრდაში, გვერდში ედგა ახლობლებს, ნათესავებს, მეგობრებს. ემსახურებოდა როგორც შეეძლო.
წავიდა ვალმოხდილი, დიდი სიყვარული და ცრემლი გაიყოლა საგზლად.
ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი დიდებული სული.

მერი ადამია

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. „ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი
ზ. აბრალავა